KA040135013539423

საქართველო, თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. №7; ტელ.: (+995 32) 2 19 27 27; ელ–ფოსტა: info@csb.gov.ge; www.csb.gov.ge

№ 97/სა **09 / თებერვალი / 2023 წ.**

ბრძანება

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შექმნის და მისი შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე

„პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის № 242 დადგენილებით დამტკიცებული სტანდარტისა და წესის მე-8 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო სამსახურის ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2022 წლის 13 იანვრის №10 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის, „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის № 46/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტისა და „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის წესის შესახებ“ სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2019 წლის 2 აპრილის № 281/სა ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეიქმნას პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) და დამტკიცდეს მისი შემადგენლობა:

ა) გიორგი მირიანაშვილი - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი საკონსტიტუციო, ევროპული და საერთაშორისო სამართლის მიმართულებით - საბჭოს წევრი;

ბ) გივი ლუაშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი - საბჭოს წევრი;

გ) ანა ძაძამია - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;

დ) მაია ბასიაშვილი - ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;

ე) მაია დვალიშვილი - სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის მოადგილე - საბჭოს წევრი;

2. საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვროს ერთი წლის ვადით.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ბიუროს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თეიმურაზ ჩიხრაძე